აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

დავით ბაციკაძე

2023 წლის საგაზაფხულო სესიიდან 2024 წლის საგაზაფხულო სესიამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ვახორციელებდი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: ვმუშაობდი წარმოდგენილი საკანონმდებლო საკითხების განხილვაზე, ვიხილავდა საქართველოს პარლამენტიდან გამოგზავნილ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ კანონპროექტებს.

უფლებამოსილების ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სახელმწიფო პრიორიტეტებიდან გამომდინარე ვახორციელებდი:

- საზედამხედველო საქმიანობას;
- აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებზე საკომიტეტო კონტროლს;
- კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობასა და მასში საზოგადოების ჩართულობას.

საკანონმდებლო საქმიანობა

- საანგარიშო პერიოდში ჩავატარე კომიტეტის 12 სხდომა, განხილული იქნა 17 საკითხი;
- წარვადგინე 9 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე;

საზედამხედველო საქმიანობა

10 აპრილი - კომიტეტმა სხდომაზე მოვისმინე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის მიმართულებით გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ანგარიში მინისტრის მოადგილემ - აკაკი ძნელაძემ და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ წარმოადგინეს. მათი განცხადებით, პანდემიის შემდგომი ორი წელი რეგიონში კულტურული აღმავლობით გამოირჩევა, რასაც საგრძნობლად გაზრდილმა ბიუჯეტმა შეუწყო ხელი. მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს კულტურის სფეროს ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა - ფოლკლორი, თანამედროვე, საერთაშორისო მიმართულებები, ასევე კონკურსები, ინოვაციური პროექტები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უწყების მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.

25 აპრილი - კომიტეტის სხდომაზე, ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ხელმძღვანელის - სულიკო თებიძის ინფორმაცია მოვისმინე გაწეული საქმიანობის შესახებ.
როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ფონდის უმთავრესი მიზანი სოციალურ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობაა, რაც საქართველოს სახელმწიფო, უცხო ენების, კომპიუტერული სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებს მოიცავს და შესაბამისი პროგრამებით ასეულობით ადამიანმა ისარგებლა.

30 მაისი - კომიტეტის სხდომაზე სს(ი)პ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორს თეონა ზოიძის წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გაწეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოვისმინე.

მისი განცხადებით, 2022 წელს რეგიონის მუზეუმებმა 68 ათასზე მეტ დამთვალიერებელს უმასპინძლეს, მათგან 40 ათასამდე უცხოელი იყო.
მომხსენებელმა ისაუბრა სამუზეუმო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-გაუმჯობესების, საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარების, ინვენტარიზაციის, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებსა და გამოფენებში ჩართულობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

13 სექტემბერი - კომიტეტის სხდომაზე სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ 2022 -2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოვისმინე. მოხსენებით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი წარსდგა. მისი განცხადებით, სააგენტოს შარშანდელი ბიუჯეტი 4 მილიონ ლარს აჭარბებდა და პროგრამულ სამუშაოებს, ძეგლების რეაბილიტაციას, პოპულარიზაციას, მარკეტინგულ მხარდაჭერასა და არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ითვალისწინებდა. ზაურ ახვლედიანმა, ასევე ისაუბრა არსებულ გამოწვევებსა და სიახლეებზე .

საანგარიშო პერიოდში საკომიტეტო ფორმატში ჩავატარე თემატური მოკვლევა თემაზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა“.
მოკვლევის ფარგლებში:

- კომიტეტში დამუშავდა 199 სუბიექტისაგან მიღებული ინფორმაცია;
- ჩატარდა 2 გასვლითი სხდომა;

სკოლებში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც გადაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

1. 2023 წლის 17 მაისის კომიტეტის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშები, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა;

2. 2023 წლის 8 სექტემბრის სხდომაზე მოვისმინე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა;

3. 2023 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის (2024-2027 წლების) პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა.

მოქალაქეთა წერილები, მომართვები და მასზე გაცემული პასუხების რაოდენობა

- საანგარიშო პერიოდში მივიღე 44 მოქალაქე;
- მოქალაქეთაგან და უწყებებიდან შემოვიდა და დამუშავდა- 183 კორესპონდენცია;
- გაიგზავნა 25 კორესპონდენცია.

სისტემატიურად ვმართავ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან

24 მარტი
ვესწრებოდი - წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველ საერთაშორისო გამოფენის გახსნას.

12 აპრილი
კომიტეტის წევრებთან ერთად გავმართე სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან - ელისო ბოლქვაძესთან, რომელიც სამუშაო ვიზიტით აჭარაში იმყოფებოდა.
სამუშაო შეხვედრის თემა სახელოვნებო განათლების რეფორმის მიმდინარეობა, რეგიონში ამ მხრივ არსებული ვითარება და სახელოვნებო განათლების რეფორმის მეორე ეტაპი იყო.
შეხვედრაზე იმსჯელეს შშმ პირთათვის ინკლუზიური პროგრამების მიმდინარეობაზე, სკოლის გარეთ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელოვნებო განათლების მდგომარეობის მონიტორინგზე.

18 აპრილი
ვესწრებოდი ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ სემინარს.
სემინარი თემაზე - „შავიზღვისპირეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები- პრობლემები და პერსპექტივები“ უკვე მეოთხედ ჩატარდა; მასში მონაწილეობას ღებულობენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები.

19 მაისი
გავმართე სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში.
შეხვედრაზე ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ გაბაიძემ და გუნდის წევრებმა ისაუბრეს 2023 წლის მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, სამომავლო პერსპექტივებსა და ხედვებზე.

3 ივნისი
ვმონაწილეობდი რეგიონში მოქმედი სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების რეგიონული ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალში.

8 ივნისი

ვესწრებოდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებას - „მეორე საერთაშორისო კონფერენცია: ადრეული განათლება და ზრუნვა“.
კონფერენცია ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოში (UNICEF Georgia), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა (JICA) და სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით.

30 ივნისი
როგორც ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER, ერა) ვიცე-პრეზიდენტი ვესწრებოდი ევროპის რეგიონთა ასამბლეის სიმპოზიუმსა და ბიუროს სხდომას.

5 ივლისი
აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არუშიძესთან ერთად ისრაელის დელეგაციას ვუმასპინძლე, რომელიც კულტურისა და სპორტის მინისტრის - მახლუფ მიკი ზოჰარის ხელმძღვანელობით იყო წარმოდგენილი.
გაცნობითი ხასიათის შეხვედრას ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი - ჰადას მეიცადი ესწრებოდა.
მხარეებმა საქართველო-ისრაელს შორის არსებულ ისტორიულ კავშირსა და ორმხრივ ურთიერთობებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა კულტურისა და ტურიზმის მიმართულებით მჭიდრო თანამშრომლობის საკითხებსა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მნიშვნელობაზე.

10 სექტემბერი
დაესწრი ბათუმში გამართულ ახალგაზრდულ კონგრესს, სადაც, შეკრებილ საზოგადოებას, ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ ვესაუბრე.

4 ნოემბერი
ვმონაწილეობდი უცხოეთში სტაჟირების პროგრამის მონაწილე ბელგიელ სტაჟიორებთან შეხვედრაში, სადაც პროგრამის მნიშვნელობასა და მისი გაფართოების საჭიროებაზე ვისაუბრე.

9 ნოემბერი
როგორც ევროპის რეგიონული ასამბლეის (AER) ვიცე პრეზიდენტი ვმონაწილეობდი პორტუგალიაში გამართულ ევროოდისეის ფორუმში. მისასალმებელ სიტყვაში ვისაუბრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის როლზე AER-ისა და ევროოდისეის მუშაობაში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და ღია მმართველობის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებით მიღებულ დადებით შედეგებზე, აჭარისა და აზორის ავტონომიური რესპუბლიკების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ყურადღება გაამახვილა, მომავალ წელს, ბათუმში დაგეგმილი შავი ზღვის ფორუმისა და გენერალური ასამბლეის ფარგლებში განსახილველ საკითხებზე.

22 ნოემბერი
დავესწრი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართულ საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმის - „დიალოგი 2023"-ის ფარგლებში გამართულ პანელურ შეხვედრას.

21 ნოემბერი
მონაწილეობა მივიღე აჭარის ხელოვნების მუზეუმში გამართულ შეხვედრაში.
შეხვედრა, სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იმ 76 სტუდენტის დაჯილდოების მიზნით გაიმართა, რომლებმაც 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი განსაკუთრებული წარჩინებით - 91 და მეტი ქულით დაასრულეს.

12 დეკემბერი
თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტტან ერთად, გავმართაე შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, რომელშიც გამგეობისა და რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდის პედაგოგები და სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

25 იანვარი
ვმონაწილეობდი - ,,პროექტი ჩემს გაკვეთილზე" კონკურსის მონაწილე მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაში.

27 თებერვალი
დავესწრი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ ფორუმს - ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური განათლება - მიღწევები და გამოწვევები".

20 თებერვალი

კომიტეტის წევრებთან ერთად - სამოქალაქო ორგანიზაცია ა(ა)იპ სოლიდარობის თემის თანადამფუძნებლებს შევხვდი.
ორგანიზაციის წარმომადგენლებმა კომიტეტის წევრებს ხელოვნებათმცოდნისა და კონსტრუქტორის ჩართულობით ჩავატარებული კვლევის - „ქართული ისლამური არქიტექტურის ნიმუშები აჭარაში“ - შედეგები გააცნეს.

აქტიურად ვთანამშრომლობ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. ვარ სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- ,,სტუდენტთა დახმარების~ ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- პროექტების - ,,სწავლა საზღვარგარეთ“, ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“, ,,კონფერენციის ორგანიზება“ ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი;
- „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ,,სეზონური სკოლის მოწყობის“ კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.

დავით ბაციკაძე